კონფერენციაში „ციფრული მოქალაქეობა და eTwinning-ი" მომხსენებელთა რეგისტრაცია გამოცხადდა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, უკვე მეოთხე წელია, საქართველოში კოორდინაციას უწევს ევროკომისიის პროგრამას - eTwinning-ს. პროგრამას „სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან" (eTwinning Plus) მიზანია ქართველი და ევროპელი მასწავლებლების დამეგობრება, კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება. Etwinning-ის ფარგლებში ქართველი მასწავლებლები თანამშრომლობენ ევროპელ კოლეგებთან, რათა ერთობლივად დაგეგმონ საგანმანათლებლო პროექტები.

პროგრამა მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ ევროპის მასშტაბით ყველაზე ცოცხალ და საინტერესო საგანმანათლებლო ქსელში. eTwinningPlus პორტალი https://www.etwinning.net/en/pub/index.htm მთავარი სამუშაო სივრცეა, რომელიც დარეგისტრირებულ მასწავლებლებს პარტნიორების მოსაძიებლად, სასურველი პროექტების შესარჩევად და მასში მონაწილეობის მისაღებად მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა და სერვისებს სთავაზობს.

eTwinning-ის პროგრამის ფარგლებში **2016 წლის 18-20** ივლისს დაგეგმილია კონფერენცია : **„ციფრული მოქალაქეობა და eTwinning-ი"**

კონფერენციის მიზანია პედაგოგთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და საპროექტო იდეების გამოვლენა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ევროპული ღირებულებების პოპულარიზაცია. მასწავლებლების მოტივირება, მათ შორის თანამშრომლობის, კომუნიკაციის ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ინოვაციური პრაქტიკების გამოვლენა-გაზიარება.

მოსალოდნელი შედეგი: მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და განიხილონ წარმატებული პრაქტიკა. გაეცნონ ციფრული მოქალაქეობის მნიშვნელობას სწავლების პროფესში და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

კონფერენციის თემები:

- სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება მოსწავლეებში
- სამოქალაქო განათლების ინტეგრირება სხვადასხვა საგანობირივ ჯგუფთან
- eTwinning-ი როგორც ციფრული მოქალაქეობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი;
- შემოქმედებითი eTwinning-ი- აქტიური მოქალაქეები;
- ციფრული მოქალაქეობის მნიშვნელობა პიროვნებისთვის;

- მასწავლებლის პასუხისმგებლობა და როლი მოსწავლისთვის ციფრული მოქალაქეების განვითარებაში
- ინტერნეტ ბულინგის პრევენცია
- აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა
- პროფესიული განვითარება და ციფრული მოქალაქეობა
- პოზიტიური სასკოლო და საკლასო გარემოს ფორმირება
- კრიტიკული მეგობარი, კოლეგების თანამშრომლობის ხელშეწყობა.

I ეტაპი - კონფერენციაზე მოხსენების მსურველებმა გაიარეთ რეგისტრაცია 25 ივნისამდე https://docs.google.com/forms/d/1tbzBJuz_sMR44IGWZ87F5qUpdbtgSB4iT-yzy9mJCM0/viewform

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად 2016 წლის 5 ივლისამდე უნდა გამოაგზავნოთ თემის აბსტრაქტი ქართულ ენაზე (მოცულობა: 500 სიტყვა) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: etwinningplus@tpdc.ge. თემის ველში (subject) მიუთითეთ: „ციფრული მოქალაქეობა და eTwinning-ი".

II ეტაპი - ავტორებს, რომლებიც გადალახავენ შერჩევის პირველ ეტაპს, 10 ივლისისთვის დაუკავშირდებიან და დაევალებათ პრეზენტაციის მომზადება Power Point-ში.

მოხსენების რეგლამენტი: 15-20 წუთი

აბსტრაქტის შეფასების კრიტერიუმები

- საკონფერენციო მოხსენება უნდა ეფუძვნებოდეს ავტორის მიერ განხორციელებულ ან დაგეგმილ აქტივობებს/პროექტებს/კვლევას;
- აბსტრაქტის შემადგენელი ნაწილების ლოგიკური ურთიერთკავშირი, შესაბამისობა საკონფერენციო თემატიკასთან;
- ინოვაციურობა და შემოქმედებითობა;
- საკითხისადმი თქვენებური ხედვა,საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება.
- მკაფიოდ აღწერილი, როგორ ვუწყობთ ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებას.

საუკეთესო ნაშრომის ავტორები გაემგზავრებიან იტალიაში დაგეგმილ eTwinning-ის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.